ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი

ეკოლოგიის მიმართულება

სანდრო ჭითანავას სამაგისტრო ნაშრომი:

ზღვის ღორის, თეთრგვერდა დელფინის და აფალინას ქცევითი რეაქციები გემის სიახლოვისას

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია კოპალიანი

2020 წელი

სარჩევი

აბსტრაქტი 3

შესავალი 4

კვლევის მეთოდები 8

მიღებული შედეგები 13

მიღებული შედეგების განხილვა 25

დასკვნა 29

ციტირებული ლიტერატურა 30

ტალღებზე სრიალის ქცევა (bow-riding). თეთრგვერდა დელფინები

აბსტრაქტი

სამი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდით მცურავი საშუალებების (გემი, კატერი), გავლენას შავი ზღვის ვეშაპისნაირების ქცევაზე. ქცევის ცვლილება გემის სიახლოვეს შეიძლება გამოვიყენოთ მათი შეწუხების ინდიკატორად საქართველოს აკვატორიაში.

თეთრგვერდა დელფინის, ზღვის ღორისა და აფალინას ქცევას გემიდან, კატერიდან და სახმელეთო პლატფორმიდან ვაკვირდებოდით.

გემიდან განსხვავებულ მანძილებზე ქცევის ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლის აღწერისთვის გამოვიყენეთ მარკოვის ჯაჭვის გამარტივებული ანალიზი. გემიდან სხვადასხვა დაშორებებზე ერთი ქცევიდან მეორეში გადასვლის ალბათობები შევადარეთ კრუსკალ-უოლესის ტესტის მეშვეობით.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით საქართველოს აკვატორიაში ვეშაპისნაირების შეწუხება მინიმალურია, რადგან გემის სიახლოვე არ ახდენს სარწმუნო გავლენას ერთი ქცევითი მდგომარეობიდან მეორე, ნეგატიურ ქცევით მდგომარეობაზე გადასვლაზე. აღნიშნული აიხსნება გემების სიმცირით, განსაკუთრებით კი სწრაფი გემების მცირე რაოდენობით საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში.

ამავდროულად, სარწმუნო კავშირი გამოვლინდა გემის სიახლოვესა და თეთრგვერდა დელფინების ტალღებზე სრიალის (იგივეა, რაც გემის მიყოლის ქცევა) ქცევას შორის (bow-riding), რომელიც პოზიტიურ ქცევად ითვლება და აღინიშნება მაშინ, როდესაც დელფინებს გემებიდან საფრთხე არ ემუქრებათ.

იმისათვის, რომ მუდმივად გვქონდეს ინფორმაცია შავი ზღვის ვეშაპისნაირების შეწუხების შესახებ, საჭიროა მონიტორინგის გაგრძლება, განსაკუთრებით საზღვაო მოძრაობის ინტენსიურობის მატებისას და მიღებული შედეგების შედარება, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად შევძლოთ კონსერვაციული ღონისძიებების გატარება.